



**გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შპს „საქართველოს ფოსტის“
ადმინისტრაციული შენობის, მცხეთის, დუშეთის და თეთრი წყაროს საფოსტო სერვის
ცენტრების გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის სატენდერო
დოკუმენტაცია**

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი, 2016 წ.

სარჩევი

1. შესყიდვის ობიექტი:	3
2. სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობები:.....	3
3. სისტემაში ასატვირთი დოკუმენტები და ინფორმაცია:.....	3
4. საგარანტიო ვადები:	4
5. დამატებითი ინფორმაცია:.....	4
6. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (პროექტი) N.....	5
7. დანართი #1	9

ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტი:

შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაციული შენობის, მცხეთის, დუშეთის და თეთრი წყაროს საფოსტო სერვის ცენტრების გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (შემდგომში – სამუშაოები).

2. სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობები:

ა) სამუშაოების შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს შესაბამისი სერტიფიკატები სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებულ მასალებსა და მოწყობილობებზე (მათი არსებობის შემთხვევაში). შემსყიდველს უფლება აქვს, დამატებით, ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესაბამისი სერტიფიკატი;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;

გ) ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გარეშე (იმის მიუხედავად არის თუ არა პრეტენდენტი დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული). გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადებისას ხელშეკრულების ღირებულებაში დამატებით იქნება გათვალისწინებული დღგ-ს ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის გამარჯვებული პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

დ) იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%/-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას;

ე) მიმწოდებელს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;

ვ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ოთხივე ობიექტზე სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა #2 და ფარული სამუშაოების ჩატარების აქტის (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში) საფუძველზე, მათი წარდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა;

ზ) მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს 2012 წლიდან ტენდერის გამოცხადებამდე მინიმუმ ერთი ხელშეკრულება ანალოგიური საქმიანობის შესრულების შესახებ;

თ) სამუშაოები უნდა დასრულდეს არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა;

ი) სატენდერო დოკუმენტაციაში (ხარჯთაღრიცხვები) ჩამოთვლილ საქონელზე, სადაც მითითებულია კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი იგულისხმება „მსგავსი“ ან „ექვივალენტური“.

3. სისტემაში ასატირთი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) კომპანიის რეკვიზიტები (საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი);

ბ) შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა „დანართი 1“- ში მოცემული ფორმის შესაბამისად; მიმწოდებლის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენლობა ან/და ხარჯთაღრიცხვაში არსებითი შეუსაბამობა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას;

გ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების თაობაზე (ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარება).

4. საგარანტიო ვადები:

ა) განხორციელებულ სამუშაოზე უნდა გავრცელდეს საგარანტიო ვადა 5 წელი.

5. დამატებითი ინფორმაცია:

საკონტაქტო პირი	მობ./ტელ.	ელ.ფოსტა
შორენა ოსკოპელი	577 33 40 40	sh.oskopeli@gpost.ge

6. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (პროექტი) N

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავედროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი

2016 წ.

შპს „საქართველოს ფოსტა“ (შემდგომში - შემსყიდველი), მისი გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის გრიგოლ მატუაშვილის სახით, ერთის მხრივ და (შემდგომში - მიმწოდებელი) მისი სახით, მეორეს მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, SPA. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაციული შენობის, მცხეთის, დუშეთის და თეთრი წყაროს საფოსტო სერვის ცენტრების გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების (შემდგომში - სამუშაოები) - (CPV 45300000) განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი დანართების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს (. . . .) ლარს.
- 2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების სრულყოფილ შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და ორივე ობიექტზე დამიწების ოქმის ღირებულებას.
- 2.3. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ეროვნულ ვალუტაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

მუხლი 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან. ამასთანავე, მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი მასალების ხარისხი.
- 3.2. შემოწმების ან/და ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით ან/და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებით აცნობებს მიმწოდებელს ნაკლის ან დეფექტის მქონე სამუშაოების ან/და გამოყენებული მასალების შესაბამისი მიზეზების მითითებით.
- 3.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 3.4. მიმწოდებელმა სამუშაოების წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეიტანოს ყოველდღიურად ჟურნალში.
- 3.5. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, სამუშაოების წარმოების ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

მუხლი 4. სამუშაოების შესრულების ვადები

- 4.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაასრულოს არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა.

მუხლი 5. თანმდევი მომსახურება

მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

მუხლი 6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ოთხივე ობიექტზე სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა #2 და ფარული სამუშაოების ჩატარების აქტის (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში) საფუძველზე, მათი წარდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა.

6.2. სამუშაოების მიღების ყოველი ეტაპის და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს გივი კუბლაშვილი.

მუხლი 7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები განხორციელდება ნორმებისა და სტანდარტების და მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და ჩაბარებული სამუშაოების საგარანტიო ვადები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

7.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

7.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

7.5 იმ შემთხვევაში თუ 7.3 პუნქტით განსაზღვრულ ხარვეზის აღმოფხვრას ესაჭიროება 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი, ხარვეზის აღმოფხვრის ვადა შეიძლება გაიზარდოს, შემსყიდველთან შეთანხმებით, არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით შემდეგი პირობებით:

8.1.1. ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ ოთხივე ობიექტზე სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა #2 და ფარული სამუშაოების ჩატარების აქტის (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში) საფუძველზე, მათი წარდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა.

8.2. მიმწოდებლის მიერ 8.1.1. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
- 10.2. შემსყიდველი ვალდებულია:
 - 10.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
 - 10.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
 - 10.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება;
 - 10.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
- 10.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
 - 10.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
 - 10.3.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, მოქმედი სტანდარტების, სატენდერო დოკუმენტაციისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების გათვალისწინებით;
 - 10.3.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს;
 - 10.3.4. მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.
- 10.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
 - 10.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
 - 10.4.2. ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;
 - 10.4.3. ფარული სამუშაოები აწარმოოს შემსყიდველის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე წერილობით და/ან სიტყვიერად აცნობოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოების შესრულების თარიღის შესახებ;
 - 10.4.4. აწარმოოს მასალების და კონსტრუქციების გამოცდები, გააფორმოს საერთო და სპეციალური სამუშაოების წარმოების ჟურნალები და ფარული სამუშაოების აქტები;
 - 10.4.5. სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
 - 10.4.6. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ. მიმწოდებელი პასუხისმგებელია აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს;
 - 10.4.7. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;
 - 10.4.8. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე;
 - 10.4.9. სამუშაოების დასრულების შემდეგ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მისი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 11.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
- 11.2. ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის პირობის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით გადაუხადოს შეუსრულებელი ვალდებულების 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

მუხლი 12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივად მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს, გარდა ხელშეკრულების 7.2, 7.3, 7.4, 7.5 და 10.4.9 პუნქტებისა.

14.2 ხელშეკრულების 7.2, 7.3, 7.4 და 7.5 პუნქტები ძალაშია სამუშაოების მთლიანი საგარანტიო ვადის განმავლობაში.

14.3 ხელშეკრულების 10.4.9 პუნქტი ძალაშია საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაციული შენობის, მცხეთის, დუშეთის და თეთრი წყაროს გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

#	ობიექტების ჩამონათვალი	ღირებულება (ლარი)
1	ადმინისტრაციული შენობის გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობა	0,00
2	მცხეთის საფოსტო სერვის ცენტრის გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობა	0,00
3	დუშეთის საფოსტო სერვის ცენტრის გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობა	0,00
4	თეთრი წყაროს საფოსტო სერვის ცენტრის გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობა	0,00
	ჯამი:	0,00

შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაციული შენობის (თბილისი, ვაგზლის მოედანი #2) გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	გაფას №	სამუშაოებისა და ხარჯების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ღირებულება ლარი						ჯამი
					მასალა		ხელფასი		მანქ./მექანიზმ		
					ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	საბაზრო	შეჭრა დაბ. წნევის გაზსადენში d=20X100	ადგ	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
2	საბაზრო	კედ. დასაკიდი ქვაბის მიერთება	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
3	საბაზრო	ფოლ. მილი d=15მმ-:-25მმ მონტაჟი პნ. გამოც.	გრძ/მ	4,00		0,00		0,00		0,00	0,00
4	საბაზრო	ფოლადის მილი d=20მმ ღირებულება	გრძ/მ	4,00		0,00		0,00		0,00	0,00
5	საბაზრო	ფოლ. მილის გატარება გარემოს მილში d=25--50მმ	გრძ/მ	0,50		0,00		0,00		0,00	0,00
6	საბაზრო	ფოლადის მილი d=32მმ ღირებულება	გრძ/მ	0,50		0,00		0,00		0,00	0,00
7	საბაზრო	ონკანების მონტაჟი	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
8	საბაზრო	ბურთულიანი ონკანი d=20მმ	კომპ	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
9	საბაზრო	ცალმხრივი ხრახნი d=20მმ	კომპ	2,00		0,00		0,00		0,00	0,00
10	საბაზრო	კედლის გახვრეტა გარემოსთვის	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
11	საბაზრო	მუხლი d=20მმ ღირებულება	ცალი	3,00		0,00		0,00		0,00	0,00
12	საბაზრო	გაზსადენის შეღებვა	მ ²	0,52		0,00		0,00		0,00	0,00
13	საბაზრო	შტუცერი d=20	ცალი	2,00		0,00		0,00		0,00	0,00
14	საბაზრო	რეზინ-ქსოვილიანი შლანგი დ=25	გრძ/მ	1,50		0,00		0,00		0,00	0,00
15	საბაზრო	სამაგრი დეტალი	ტნ	0,004		0,00		0,00		0,00	0,00
16	საბაზრო	მასალების ტრანსპორტირება		1,00		0,00		0,00		0,00	0,00
		სულ				0,00		0,00		0,00	0,00
		ზედნადები ხარჯი									0,00
		სულ									0,00
		გეგმიური დაგროვება									0,00
		სულ									0,00
		გაუთვალისწინებელი ხარჯი		3%							0,00
		სულ									0,00

შპს „საქართველოს ფოსტის“ მცხეთის (მცხეთა, აღმაშენებლის #44) საფოსტო სერვის ცენტრის გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	გაფას №	სამუშაოებისა და ხარჯების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ღირებულება ლარი						ჯამი
					მასალა		ხელფასი		მანქ./მექანიზმ		
					ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	საბაზრო	შეჭრა დაბ. წნევის გაზსადენში d=15X25	ადგ	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
2	საბაზრო	გაზის გამათბობლის მიერთება და მონტაჟი	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
3	საბაზრო	ფოლ. მილი d=15მმ--25მმ მონტაჟი პნ. გამოც.	გრძ/მ	53,50		0,00		0,00		0,00	0,00
4	საბაზრო	ფოლადის მილი d=15მმ ღირებულება	გრძ/მ	4,50		0,00		0,00		0,00	0,00
5	საბაზრო	ფოლადის მილი d=25მმ ღირებულება	გრძ/მ	49,00		0,00		0,00		0,00	0,00
6	საბაზრო	ფოლ. მილის გატარება გარემის მილში d=25--50მმ	გრძ/მ	0,50		0,00		0,00		0,00	0,00
7	საბაზრო	ფოლადის მილი d=25მმ ღირებულება	გრძ/მ	0,50		0,00		0,00		0,00	0,00
8	საბაზრო	ონკანების მონტაჟი	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
9	საბაზრო	ბურთულიანი ონკანი d=15მმ	კომპ	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
10	საბაზრო	ცალმხრივი ხრახნი d=15მმ	კომპ	2,00		0,00		0,00		0,00	0,00
11	საბაზრო	კედლის გახვრეტა გარემისთვის	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
12	საბაზრო	კედლის გახვრეტა გამათბობლისთვის	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
13	საბაზრო	მუხლი d=25მმ ღირებულება	ცალი	2,00		0,00		0,00		0,00	0,00
14	საბაზრო	გაზსადენის შეღებვა	მ ²	8,34		0,00		0,00		0,00	0,00
15	საბაზრო	შტუცერი d=15	ცალი	2,00		0,00		0,00		0,00	0,00
16	საბაზრო	რეზინ-ქსოვილიანი შლანგი	გრძ/მ	1,50		0,00		0,00		0,00	0,00
17	საბაზრო	სამაგრი დეტალი	ტნ	0,006		0,00		0,00		0,00	0,00
18	საბაზრო	მასალების ტრანსპორტირება		1,00		0,00		0,00		0,00	0,00
		სულ				0,00		0,00		0,00	0,00
		ზედნადები ხარჯი									0,00
		სულ									0,00
		გეგმიური დაგროვება									0,00
		სულ									0,00
		გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%								0,00
		სულ									0,00

შპს „საქართველოს ფოსტის“ დუშეთის (დუშეთი, სტალინის #21) საფოსტო სერვის ცენტრის გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	გაფას №	სამუშაოებისა და ხარჯების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ღირებულება ლარი						ჯამი
					მასალა		ხელფასი		მანქ./მექანიზმ		
					ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	საბაზრო	შეჭრა დაბ. წნევის გაზსადენში d=15X15	ადგ	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
2	საბაზრო	გაზის გამათბობლის მიერთება	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
3	საბაზრო	ფოლ. მილი d=15მმ-:-25მმ მონტაჟი პნ. გამოც.	გრძ/მ	3,00		0,00		0,00		0,00	0,00
4	საბაზრო	ფოლადის მილი d=15მმ ღირებულება	გრძ/მ	3,00		0,00		0,00		0,00	0,00
5	საბაზრო	ფოლ. მილის გატარება გარემის მილში d=25--50მმ	გრძ/მ	0,50		0,00		0,00		0,00	0,00
6	საბაზრო	ფოლადის მილი d=25მმ ღირებულება	გრძ/მ	0,50		0,00		0,00		0,00	0,00
7	საბაზრო	ონკანების მონტაჟი	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
8	საბაზრო	ბურთულიანი ონკანი d=15მმ	კომპ	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
9	საბაზრო	ცალმხრივი ხრახნი d=15მმ	კომპ	2,00		0,00		0,00		0,00	0,00
10	საბაზრო	კედლის გახვრეტა გარემისთვის	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
11	საბაზრო	კედლის გახვრეტა გამათბობელისთვის	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
12	საბაზრო	გაზსადენის შეღებვა	მ ²	0,33		0,00		0,00		0,00	0,00
13	საბაზრო	შტუცერი d=15	ცალი	2,00		0,00		0,00		0,00	0,00
14	საბაზრო	რეზინ-ქსოვილიანი შლანგი	გრძ/მ	1,50		0,00		0,00		0,00	0,00
15	საბაზრო	სამაგრი დეტალი	ტნ	0,004		0,00		0,00		0,00	0,00
16	საბაზრო	მასალების ტრანსპორტირება		1,00		0,00		0,00		0,00	0,00
		სულ				0,00		0,00		0,00	0,00
		ზედნადები ხარჯი									0,00
		სულ									0,00
		გეგმიური დაგროვება									0,00
		სულ									0,00
		გაუთვალისწინებელი ხარჯი		3%							0,00
		სულ									0,00

შპს „საქართველოს ფოსტის“ თეთრი წყაროს (თეთრი წყარო, თამარ მეფის #22) საფოსტო სერვის ცენტრის გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	გაფას №	სამუშაოებისა და ხარჯების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ღირებულება ლარი						ჯამი
					მასალა		ხელფასი		მანქ./მექანიზმ.		
					ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	საბაზრო	შეჭრა დაბ. წნევის გაზსადენში d=15X20	ადგ	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
2	საბაზრო	გაზის გამათბობლის მიერთება და მონტაჟი	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
3	საბაზრო	ფოლ. მილი d=15მმ-:-25მმ მონტაჟი პნ. გამოც.	გრძ/მ	23,00		0,00		0,00		0,00	0,00
4	საბაზრო	ფოლადის მილი d=15მმ ღირებულება	გრძ/მ	3,00		0,00		0,00		0,00	0,00
5	საბაზრო	ფოლადის მილი d=20მმ ღირებულება	გრძ/მ	20,00		0,00		0,00		0,00	0,00
6	საბაზრო	ფოლ. მილის გატარება გარემოს მილში d=25--50მმ	გრძ/მ	0,50		0,00		0,00		0,00	0,00
7	საბაზრო	ფოლადის მილი d=25მმ ღირებულება	გრძ/მ	0,50		0,00		0,00		0,00	0,00
8	საბაზრო	ონკანების მონტაჟი	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
9	საბაზრო	ბურთულიანი ონკანი d=15მმ	კომპ	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
10	საბაზრო	ცალმხრივი ხრახნი d=15მმ	კომპ	2,00		0,00		0,00		0,00	0,00
11	საბაზრო	კედლის გახვრეტა გარემოსთვის	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
12	საბაზრო	კედლის გახვრეტა გამათბობელისთვის	ცალი	1,00		0,00		0,00		0,00	0,00
13	საბაზრო	მუხლი d=20მმ ღირებულება	ცალი	2,00		0,00		0,00		0,00	0,00
14	საბაზრო	გაზსადენის შეღებვა	მ ²	2,93		0,00		0,00		0,00	0,00
15	საბაზრო	შტუცერი d=15	ცალი	2,00		0,00		0,00		0,00	0,00
16	საბაზრო	რეზინ-ქსოვილიანი შლანგი	გრძ/მ	1,50		0,00		0,00		0,00	0,00
17	საბაზრო	სამაგრი დეტალი	ტნ	0,02		0,00		0,00		0,00	0,00
18	საბაზრო	მასალების ტრანსპორტირება		1,00		0,00		0,00		0,00	0,00
		სულ				0,00		0,00		0,00	0,00
		ზედნადები ხარჯი									0,00
		სულ									0,00
		გეგმიური დაგროვება									0,00
		სულ									0,00
		გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%								0,00
		სულ									0,00